შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 47597

18/11/2014

პროექტი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების განკარგვის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების და განკარგვის წესი და პირობები“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე
ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ამ ბრძანებით განსაზღვრული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული ექსპლოატაციისათვის უვარგისი ქონების განკარგვა:
ა) შავი ლითონის ჯართი - 1700 კგ საბალანსო ღირებულებით 170 ლარი.
ბ) სპილენძი - 30 კგ საბალანსო ღირებულებით 150 ლარი.
გ) ალუმინი - 20 კგ საბალანსო ღირებულებით 20 ლარი.
2. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შესახვის, შეფასების და განკარგვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ამ ბრძანებით განსაზღვრული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს უფროს სპეციალისტს შალვა შალამბერიძეს.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს ნიკოლოზ კახეთელიძეს.

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური